# მოსკოვის დღეები თბილისში

19-დან 25 მაისამდე თბილისში მიმდინარეობდა მოსკოვის ლიტერატურისა და ხელოვნების დღეები. თბილისის მშრომელთა გულითადმა შეხვედრებმა მოსკოვის დელეგაციასთან კიდევ ერთხელ ცხადყო საბჭოთა კავშირის ხალხების ურღვევი ერთობა, კომუნისტური პარტიის ლენინური ეროვნული პოლიტიკის სიბრძნე.



მოსკოვი. კრემლი



თბილისი. საქართველოს სსრ მთავრობის სახლი

# მოსკოვის დღეები თბილისში




18 მაისს სპეციალური თვითმფრინავით თბილისში ჩამოვიდნენ მოსკოვის ლიტერატურისა და ხელოვნების დღეების მონაწილენი პარტიის მოსკოვის საქალაქო კომიტეტის მდივნის ა. პ. შაპოშნიკოვას მეთაურობით.

სურათზე: შეხვედრა მოსკოველ მეგობრებთან თბილისის აეროპორტში.



საქდესის ფოტოქრონიკა

# მოსკოვის დღეები თბილისში



მოსკოველ მეგობრებთან შეხვედრა ქართველი ხალხის დიდ დღესასწაულად გადაიქცა. თბილისელები განსაკუთრებული გულითადობითა და სიხარულით შეხვდნენ მოსკოვის ლიტერატურისა და ხელოვნების დღეების მონაწილეებს.

სურათზე: შეხვედრა მოსკონცერტის მსახიობებთან თბილისის აეროპორტში.



საქდესის ფოტოქრონიკა

ელექტრონული ბიბლიოთეკა

# მოსკოვის დღეები თბილისში



თბილისში მოსკოვის ლიტერატურისა და ხელოვნების დღეებთან დაკავშირებით 19 მაისს საქართველოს დედაქალაქში ჩამოვიდა სკკპ მოსკოვის საქალაქო კომიტეტის პირველი მდივანი ნ. გ. ეგორიჩევი. სტუმართან შესახვედრად აეროპორტში მოვიდნენ ხელმძღვანელი პარტიული, საბჭოთა, პროფკავშირული, კომკავშირული მუშაკები, შემოქმედებითი ინტელიგენციის წარმომადგენლები.

სურათზე: გ. დ. ჯავახიშვილი, ნ. გ. ეგორიჩევი, ვ. პ. მჟავანაძე თბილისის აეროდრომზე.



საქდესის ფოტოქრონიკა

# მოსკოვის დღეები თბილისში



მაყურებელთა დარბაზში

19 მაისს თბილისის ზ. ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო აკადემიურ თეატრში საზეიმო ვითარებაში გაიხსნა თბილისში მოსკოვის ლიტერატურისა და ხელოვნების დღეები.



პრეზიდიუმში

ეროვნული ბიბლიოთეკა

# მოსკოვის დღეები თბილისში



თბილისში მოსკოვის ლიტერატურისა და ხელოვნების დღეების საზეიმო გახსნის დასასრულს გაიმართა დიდი კონცერტი, რომელმაც დიდი წარმატებით ჩაიარა.

სურათზე: სცენაზეა სსრ კავშირის სახელმწიფო სიმფონიური ორკესტრი და სსრ კავშირის სახელმწიფო აკადემიური რუსული გუნდი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# მოსკოვის დღეები თბილისში





20 მაისს ნაშუადღევს მოსკოვის დელეგაციის წარმომადგენლები მივიდნენ ლენინის მოედანზე, რათა გვირგვინით შეემკოთ საბჭოთა სახელმწიფოს დაამარსებლის ვ. ი. ლენინის ძეგლი. გვირგვინის ლენტზე წარწერილია: დიდ ბელადსა და მასწავლებელს ვლადიმერ ილიას ძე ლენინს მოსკოვის მშრომელთა დელეგაციისაგან“.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# მოსკოვის დღეები თბილისში

20 მაისს მოსკოვის დელეგაციის წარმომადგენლებმა გვირგვინებით შეამკეს დიდი რუსი მწერლის ა. ს. გრიბოედოვისა და ხალხთა მეგობრობისა და ძმობის მომღერლის შოთა რუსთაველის ძეგლები.



შოთა რუსთაველის ძეგლთან



ა. ს. გრიბოედოვის ძეგლთან

ეროვნული ბიბლიოთეკა

# მოსკოვის დღეები თბილისში



რუსთაველის სახელობის თეატრში სპექტაკლი გამართეს ვახტანგოვის სახელობის თეატრის მსახიობებმა, რომლებმაც წარმოადგინეს ლ. ზორინის ლიტერატურული დრამა „ვარშავული მელოდია“. სპექტაკლს გულთბილად შეხვდნენ თბილისელი მაყურებლები.

სურათზე: რუსეთის სფსრ სახალხო არტისტები ი. ბორისოვა და მ. ულიანოვი.



საქდესის ფოტოქრონიკა

ელექტრონული ბიბლიოთეკა

# მოსკოვის დღეები თბილისში



მოსკოვის დღეების მონაწილეთა კონცერტი ქარხნის საამქროში

ღიმილითა და ტაშით შეხვდნენ მოსკოველ სტუმრებს თბილისის ვ. ი. ლენინის სახელობის ელ-მავალსაშენებელი ქარხნის მუშები და მოსამსახურეები.

ქარხნის ეზოში



 საქდესის ფოტოქრონიკა

# მოსკოვის დღეები თბილისში



ინტერვიუს იძლევა საბჭოთა კავშირის სახალხო არტისტი მ. ი. ჟაროვი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# მოსკოვის დღეები თბილისში







სსრ კავშირის ხალხური ცეკვის სახელმწიფო აკადემიურმა ანსამბლმა საბჭოთა კავშირის სახალხო არტისტის, ლენინური პრემიის ლაურეატის იგორ მოისეევის ხელმძღვანელობით თბილისელებს უჩვენა ახალი პროგრამა „გზა ცეკვისაკენ“.

სურათებზე: სცენები ახალი პროგრამის „გზა ცეკვისაკენ“ ქორეოგრაფიული ნომრებიდან.

# მოსკოვის დღეები თბილისში



დიდი ხნის ისტორია აქვს რუსული და ქართული კულტურის მოღვაწეთა მეგობრობას. ჩვენს დღეებში ეს მეგობრობა კიდევ უფრო განმტკიცდა, კიდევ უფრო მჭიდრო გახდა შემოქმედებითი ურთიერთობა.

სურათზე: ნ. მორდიუკოვა, მ. ვოლოდინა, ო. კობერიძე, ზ. კირიენკო.



საქტესის ფოტოქრონიკა

# მოსკოვის დღეები თბილისში



მოსკონცერტის მსახიობები



ვ. გოლუბევი და ა. გოლუბევა



მღერის რუსეთის სფსრ დამსახურებული არტისტი ო. ვორონეცი

საქართველოს სახელმწიფო ფილარმონიის სცენაზე გამოვიდა მოსკონცერტის საესტრადო ჯგუფი. თითოეული მსახიობის გამოსვლა, პროგრამის თითოეული ნომერი გამოირჩეოდა შესრულების მაღალი კულტურით, სცენური ოსტატობით.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# მოსკოვის დღეები თბილისში



სცენა ოპერიდან „აიდა“

თბილისის ზ. ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო აკადემიურ თეატრში თბილისელებმა მოისმინეს ვერდის ოპერა „აიდა“, რომელშიც მონაწილეობდა დიდი თეატრის სოლისტი, რუსეთის სფსრ დამსახურებული არტისტი თამარ მილაშკინა.



მღერის თ. მილაშკინა

# მოსკოვის დღეები თბილისში



ზ. ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო თეატრში ა. ადანის ბალეტ „ჟიზელში" მონაწილეობდნენ დიდი თეატრის სოლისტები, რუსეთის სფსრ სახალხო არტისტი ნ. ტიმოფეევა და რუსეთის სფსრ დამსახურებული არტისტი მ. ლავროვსკი.

სურათზე: სცენა ბალეტიდან. ასრულებენ ნ. ტიმოფეევა და მ. ლავროვსკი.

# მოსკოვის დღეები თბილისში

მოსკოველი სტუმრები დიდი ინტერესით გაეცნენ საქართველოს სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის დიღმის სასწავლო-საცდელი მეურნეობის მუშაობას.



განმარტებას იძლევა ინსტიტუტის რექტორი ი. სარიშვილი



მეურნეობის ვენახებში

ეროვნული ბიბლიოთეკა

# მოსკოვის დღეები თბილისში

მოსკოვის ლიტერატურისა და ხელოვნების დღეების მონაწილენი თბილისის ტელესტუდიაში.



სტუმრები საქართველოს ტელესტუდიაში




გამოჩენილ კომპოზიტორთა საავტორო კონცერტების შემსრულებლები

# მოსკოვის დღეები თბილისში



მოსკოვის დღეების მონაწილენი ინსტიტუტის მასწავლებლებსა და სტუდენტებთან ერთად



შეხვედრა ინსტიტუტის სააქტო დარბაზში

გულთბილი შეხვედრა მოუწყვეს მოსკოველ სტუმრებს თბილისის სახელმწიფო სამედიცინო ინსტიტუტის მასწავლებლებმა და სტუდენტებმა.

ელექტრონული ბიბლიოთეკა

# მოსკოვის დღეები თბილისში



თბილისის ვ. სარაჯიშვილის სახელობის კონსერვატორიის სტუდენტები და მასწავლებლები გულთბილად შეხვდნენ სსრ კავშირის სახელმწიფო აკადემიურ რუსულ გუნდს, რომლის ხელმძღვანელია საბჭოთა კავშირის სახალხო არტისტი პროფესორი ა. ვ. სვეშნიკოვი. მოსკოველ სტუმრებს მიესალმნენ ა. ვ. სვეშნიკოვის ყოფილი მოწაფეები კონსერვატორიის რექტორი ს. ცინცაძე და პრორექტორი ი. ბერიძე.

სურათზე: ა. სვეშნიკოვი (ცენტრში) ი. ბერიძე (მარცხნივ) და ს. ცინცაძე.

# მოსკოვის დღეები თბილისში




მეგობრობის მიტინგი

სადილის შესვენების დროს თბილისის ს. მ. კიროვის სახელობის ჩარხსაშენებელი ქარხნის კოლექტივი შეხვდა ჩვენი სამშობლოს დედაქალაქის—მოსკოვის წარმომადგენლებს.



სტუმრებთან შეხვედრა ქარხნის ტერიტორიაზე

ეროვნული ბიბლიოთეკა

# მოსკოვის დღეები თბილისში



როგორც ყველაზე ძვირფას და ახლობელ მეგობრებს, ისე შეხვდნენ ამიერკავკასიის სამხედრო ოლქის ჯარისკაცები, ზემდეგები, ოფიცრები და გენერლები მოსკოვის დელეგაციის წარმომადგენლებს. მოსკოველებთან შეხვედრა გაიმართა თბილისის ოფიცერთა საოლქო სახლში.



ოლღა ვორონეცი თბილისის გარნიზონის მეომართა შორის.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# მოსკოვის დღეები თბილისში



თბილისში მოსკოვის ლიტერატურისა და ხელოვნების დღეების მონაწილე თვითმოქმედმა კოლექტივმა „კოლხეთმა“ ოსტატურად შეასრულა ქართული ხალხური ცეკვები.

სურათებზე: ანსამბლის გამოსვლა.





ეროვნული ბიბლიოთეკა

# მოსკოვის დღეები თბილისში



მეგობრული შეხვედრა გაიმართა თბილისის საკონდიტრო კომბინატში. საწარმოს მუშებსა და მოსამსახურეებს ესტუმრა ესტრადის მსახიობთა ჯგუფი. სტუმრები მიიწვიეს კომბინატის საამქრო დარბაზში, სადაც მეგობრულ საუბარს ცვლიდა სიმღერები, ლექსები, რუსული მუსიკა.

სურათებზე: მოსკოველი სტუმრები თბილისის საკონდიტრო კომბინატში.



ეროვნული ბიბლიოთეკა

# მოსკოვის დღეები თბილისში



მეგობრობის დასკვნითი კონცერტი

25 მაისს თბილისის სპორტის სასახლეში მოსკოველმა სტუმრებმა გამართეს მეგობრობის დასკვნითი კონცერტი, რომელიც ორი მოძმე ხალხის უაღრესად გულთბილი, მე-გობრული შეხვედრის ბოლო აკორ-დი იყო.



დასკვნითი კონცერტის მონაწილენი მიესალ-მებიან მაყურებლებს